



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 27

15/05/2017

27-03-4-201705151925



განკარგულება №27
15 მაისი 2017 წელი

„სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) ქონების - ქალაქ ოზურგეთში ა. წულაძის ქუჩაზე არსებული 329 კვ/მ (ს/კ 26.26.47.087); 330 კვ/მ (ს/კ 26.26.47.086) და 114 კვ/მ (ს/კ 26.26.47.144) ფართობის მიწის ნაკვეთების, პირდაპირი განკარგვის წესით, (იჯარის უფლებით), 20 წლის ვადით გაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლი 2-ე ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის დ.დ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბერის №669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:


მუხლი 1. თანხმობა მიეცეს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, სსიპ თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული, ქალაქ ოზურგეთში ა. წულაძის ქუჩაზე მდებარე 329 კვ/მ (ს/კ 26.26.47.087); 330 კვ/მ (26.26.47.086) და 114 კვ/მ (ს/კ 26.26.47.144) ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით (სარგებლობის უფლებით), 20 წლის ვადით (დაინტერესებული პირის მიერ ავტოსადგომის მოწყობის მიზნით) გაცემის შესახებ.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებული თითოეული ქონების (ს/კ26.26.47.087; 26.26.47.086 და 26.26.47.144) სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემის, ქირის წლიური საფასური განსაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის არანაკლებ 6 % -ის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა